მაია არავიაშვილის ინტერვიუ ქართული კულტურის ცენტრის „Dancing Crane Company“-ის ხელმძღვანელთან, ლიკა სირელსონთან

23 მარტი, 2023 წელი, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები

ინტერვიუერი: -მოგესალმებით, დღევანდელი ჩვენი ინტერვიუს რესპონდენტია ქალბატონი ლიკა სირელსონი, რომელიც ხელმძღვანელობს საკვირაო სკოლას, სადაც სხვადასხვა ტიპის სერვისს, აქტივობას სთავაზობენ ქართველ ემიგრანტებს.

მოგესალმებით ქალბატონო ლიკა, გაგვაცანით თქვენი თავი და მოკლედ, რომ მოგვიყვეთ თქვენი ბიოგრაფიული მონაცემები, როდის დაიბადეთ და სად?

რესპონდენტი: - გამარჯობათ, მე ვარ ლიკა ბახტურიძე-სირელსონი, დავიბადე 61 (1961) წელს, ვარ თბილისიდან, ამერიკაში ვარ ოცდამეშვიდე წელია აქ ვარ და ჩემი ისტორია, ანუ ჩემი ცხოვრების ისტორია, ამერიკაში ცხოვრების, ძალიან საინტერესოა და ნუ ჩემთვის საინტერესო ყოველშემთხვევაში არის (იღიმის), აქ ძალიან შემთხვევით, რომ ჩამოვედი, გავიცანი ადამიანი ვიქტორ სირელსონი, მაშინ ამდენი, ძალიან დიდი ხნის წინ აქ ძალიან ცოტა იყო ქართველი, თითქმის არ იყო, და მითხრა მეგობარმა, რომ იციო აქ კონცერტი ტარდებაო ქართული ცეკვებისო და სიმღერისო და მე ძალიან გაოცებული დავრჩი, იმიტო რო წარმოიდგინეთ ეხლა მაშინ ეს ძალიან დიდი, საქართველო რა იყო არც იცოდა მაშინ ხალხმა ბევრმა, ხოდა, მოვინდომე რომ...

ინტერვიუერი: - რომელი წელია რომ დავაზუსტოთ:

რესპონდენტი: - ეს წელი არის... 98

ინტერვიუერი: - ანუ 1998 წელს ჩამობრძანდით თქვენ ამერიკაში?

რესპონდენტი: -არა, 98 წელს იყო, ეს გავიგე, რომ მმმმმ... იყო ეს კონცერტი და ნუ დავინტერესდი ეხლა იცით, საოცარი იყო მონატრება, იმიტო, რო არაფერი, ძალიან იშვიათად იყო რაღაცა, anything or something Georgian აი ნებისმიერი რაღაცა და ძალიან დიდი მონატრება იყო და წავედი და გავიცანი ბატონი ვიქტორ სირელსონი, და მე მინდა გითხრათ, აი ამით დაიწყო, ანუ ამას იმიტო ვყვები, რო ამით დაიწყო ეს ყველაფერი, დარბაზში ვიყავით ორი ქართველი მარტო და სცენაზე იყო კიდევ ერთი ქართველი, დანარჩენი სულ ამერიკელები იყვნენ სცენაზეც და დარბაზშიც და სცენაზე მოცეკვავეები იყვნენ იმ ერთის გარდა ამერიკელები და ცეკვავდნენ ჩვენს ქართულ ცეკვებს და აი ამას ჩაუყარა საფუძველი ბატონმა ვიქტორმა, სირელსონმა, რომელიც

ახლა ჩემი მეუღლეა და ერთად ვართ ამდენი წელი და ვაკეთებთ ამ ქართულ საქმეს, ანუ ის არის დასაწყისი, მან დაიწყო ის, ეს არის პირველი ქართული კულტურის ცენტრი, რომელიც მან დაარსა და მისი ინტერესი იყო ძალიან , 64 წლიდან, 1964 წლიდან ჰქონდა მას ეს ინტერესი, როდესაც მან იმოგზაურა საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, როგორც წარჩინებულმა სტუდენტმა ჯგუფთან ერთად და ნახა საქართველოც. და თუ ეს საინტერესოა მოგიყვებით საიდან დაიწყო კავშირი ამ ქართულ ხელოვნებასთან, ამმ, მოგზაურობდნენ ეს სტუდენტები და მოსკოვიდან თბილისში მგზავრობის დროს მატარებლით გაიგონა ქართული სიმღერის ხმა და მივიდა და იქ დადგა, ღია ჰქონდათ კარები, ოთახი? რა ქვია იმას, ოთახს, სადაც იყვნენ და იქ დადგა და ისე უსმენდა და ამ ქართველებმა მიიპატიჟეს, მაშინ არ იცოდა ვინ იყვნენ, მიიპატიჟეს, იმდენად მოეწონა მათი სიმღერა და ახლა ყვება ხოლმე, იქო მიმიპატიჟესო და იქო რაღაცა სადილიც მივირთვიო, იყო ბადრიჯნისა და ხორცისგან გაკეთებულიო და სიმღერა, როგორც მერე მიხვდა და გაიხსენა იყო ჩაკრულო, ასე რომ ჩვენი ორგანიზაციის და ჩემი ისტორიაც ამერიკაში, აი ამ ჩაკრულოს და აი ამ დღეს უკავშირდება.

ინტერვიუერი: - ცოტას, სანამ ამერიკაში ემიგრაციას შევეხებით, რომ გაიხსენოთ თქვენი ცხოვრება საქართველოში, სად სწავლობდით, როდის გადაწყვიტეთ ამერიკაში წამოსვლა, ძირითადად რას უკავშირდება თქვენი ინტერესი, რომ ამერიკაში წამოსულიყავით?

რესპონდენტი: - ნუ.. მე მშობლები ცოტა ადრე დავკარგე და ნუ ჩემი ცხოვრება ბევრ ადგილ.. იმას... მტკივნეულია ჩემთვის და ნუუ, ძალიან ისე მოგიყვებით, ძირითადად მოვღვაწეობდი მე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, გეპეი, ესეთ ცნობილ გეპეიში და იქ იყო კიდევ ერთი თეატრი და არის ეხლაც, თეატრის სტუდია, სახალხო თეატრია - „მოდი ნახე“, ბატონი ნუგზარ ბუცხრიკიძე ხელმძღვანელობს და მე იმ თეატრში ვიყავი და იქ მოვღვაწეობდი და სწორედ ამ თეატრმა გაგვიხსნა გზა და ვიმოგზაურეთ ტურით მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყნებში, მათ შორის ამერიკაშიც, ვიყავით სამჯერ, ინგლისი, იაპონია, გერმანია, ძალიან... ფინეთი, და აი ძალიან ძალიან ბევრი ქვეყნები მოვიარეთ აი იმითი და იქიდან ვიმოგზაურეთ, ასე რომ ჩემი პროფესია იქ საქართველოში იყო, ინჟინერი ვიყავი და კიდე ჩვენთან იყო თეატრალური ფაკულტეტი გახსნეს, სადაც ასწავლიდნენ, პედაგოგები იყვნენ თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგები და იქაც ვსწავლობდი, რადგან დაინტერესებული მაინც თეატრით ვიყავი და იმ პერიოდში ჩემებს უნდოდათ რომ ექიმი გავმხდარიყავი, მე არ მინდოდა ექიმობა და ასე მოვხვდი გეპეიში (იცინის), ნუ შემდეგ მაინც ავისრულე სურვილი და მაინც ეს დავამთავრე იქაც სხვათაშორის და ძალიან მიხარია ხოლმე, რომ დიპლომი გავაკეთე ჰამლეტი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ააა.. და ნუ ასე ვიტყვი და დანარჩენი ძალიან მტკივნეული იყო ჩემი იქ... ძალიან ისე გავიზარდე, და ჩემმა დამ გამზარდა და აქ რომ ვიმოგზაურე ძალიან ბევრჯერ, შემდეგ ხომ გახსოვთ ძალიან რთული პერიოდი

დაიწყო საქართველოში და მე კი მქონდა საშუალება ყოველთვის, მადლობა ღმერთს, რომ ჩემი თავი მერჩინა, იმიტომ რომ მე ვასწავლიდი კიდეც, მერე და ა.შ მაგრამ ნუ ოჯახისთვის გადავწყვიტე, რომ კარგი იქნებოდა ჩამოვსულიყავი ამერიკაში და დავხმარებოდი ჩემებს და რაღაც საოცარი იყო, ჩამოვედი და სამი თვის მერე შევქმენით.... (სიჩუმე).... ხო სამი თვის მერე გავთხოვდი.. ხო ოჯახი შევქმენით სამი თვის მერე, გამოდის, რომ რამდენი წელი ვარ ეხლა, ამერია მე უკვე, თუ 98-ის მერე რამდენი წელი გავიდა (იღიმის)

ინტერვიუერი: - 98-ის მერე გავიდა...

რესპონდენტი: - ხო ნუ რამდენიც გავიდა აი ამდენი... (სიჩუმე)

ინტერვიუერი: -25 წელი გავიდა

რესპონდენტი: -ხო 25, მე მეშლება 27 კი არ ვარ აქ, ვარ 25 წელია, და ხო, 25 წლის წინ ჩამოვედი (იღიმის), აააა... და სამი თვის მერე შევქმენით ოჯახი, ხო უცნაურია არა აქ არავის არ ჯეროდა, რო რაღაცა სამი თვის მერე ესე უცბათ და ეგონათ,რომ რატომღაც საბუთების გულისთვის, მაგრამ 25 წელი ერთად ვართ, ნუ ხომ არის ხდება ცხოვრებაში ალბათ ორი მარტოსული ადამიანი შევხვდით ერთმანეთს და ამდენი წლის მანძილზე ერთად ვცხოვრობთ და გინდათ დამიჯერეთ, გინდათ არა, აი არასდროს არ გვიჩხუბია

ინტერვიუერი: - ძალიან სასიამოვნოა, ამდენი წელი ესეთი ჰარმონიული თანაცხოვრებით. რომ გაიხსენოთ, აი ტქვენი ჩამოსვლა, რა გახსენდებათ, თქვით, რომ აი ქართული გენატრებოდათ და რომ გაიგეთ თუნდაც კონცერტის შესახებ ინფორმაცია სიხარულით წახვედით და დაესწარით ამ კონცერტს, სადაც თქვენს მომავალ მეუღლეს შეხვდით ხომ? აი სხვა რა გახსენდებათ პირველად რომ ჩამოხვედით, სტრესი თუ იყო, რა წინაღობებს შეხვდით, როგორ გადალახეთ?

რესპონდენტი: -ამმ, იცით რა არის ეხლა, მანამდე მე რომ ნამყოფი ვიყავი და რომ ვიცოდი ეს ქვეყანა ნუ მე ვიყავი როგორც სტუმარი ანუ ვიყავი როგორც ნუ სცენაზე გამოვდიოდი ხო, ეს იყო ჩვენთვის ტური და ვიყავით სტუმრები და ვნახეთ რაღაცა გარკვეული წილი, ბევრი რამ საინტერესო, მაგრამ ეს სულ სხვა მხარეა ამერიკის. მე როდესაც ჩამოვედი, როდესაც ოჯახი შევქმენი, ამის მერე ძალიან სხვანაირად იხსნება თანდათან ეს ქვეყანა და ყველაზე საინტერესო ჩემი ასაკის ადამიანისთვის, მე ახლა 63 წლის ვხვდები, ჩემი ასაკის ადამიანისთვის საინტერესო არის იცოდე რას ნიშნავს თავისუფლება, ანუ პირადი თავისუფლება რა არის. ეს ისწავლება? არ ისწავლება?. მე გეტყვით ერთ რაღაცას, მე გავიზარდე იმ პერიოდში, როდესაც იყო ხოლმე ყრილობები, არჩევნები, ეს ამბავი და რომ იყო, რომ ვინ არის მომხრეო, მე მახსოვს ძალიან კარგად, აი კარგად მახსოვს, რომ ესეიგი საღაცა 4000 ადამიანიდან, ყრილობა, რომ იყო, ყველა იყო მომხრე აბსოლიტურად ყველაფრისა რაც იქ წყდებოდა და ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ესეთი, რამ ამმ... პოლიტიკურ მოღვაწეზე არ მახსოვს

ეხლა სახელი, სიმართლე რომ გითხრათ, საუბრობდნენ არჩევნები იყო ადგილობრივი და ჩემი მეგობრები ამერიკელები და იცით როგორ მსჯელობდნენ? მსჯელობდნენ აი დაახლოებით პარალელი რომ გავავლოთ, როდესაც მშობლები მსჯელობენ შვილი სად წავა როგორ, ანუ რისი თქმა მინდა მათ ეს შეუძლიათ და შვილი სად წავა ისინი წყვეტენ ხო, ამ შემთხვევაში მშობლები, აი ზუსტად ასეთივე განწყობით საუბრობდნენ ისინი. რომ აი ეს უნდა იყოს თუ არ უნდა იყოს თუ როგორ უნდა მოიქცნენ რაღაცა, ჩემთვის ეს იყო ძალიან დიდი საოცრება, გესმით? აი და მე ვერ დავდებ თავს, რომ რა თქმა უნდა ყველას გვიყვარს სამშობლო, მეც სიგიჟედე მიყვარდა, მიყვარს და მეყვარება მაგრამ მე არ ვყოფილვარ იმ კატეგორიაში, რომ აი მებრძოლი სული ვყოფილიყავი, რაღაცა... გესმით? მე ეხლა ვუჭერდი მხარს ამ მოძრაობას რაც კი ჩემს დროს იყო, რაც კარგი იქნებოდა საქართველოსთვის, მაგრამ მე არ ვიცოდი შიგნიდან, როგორ უნდა მეფიქრა რა უნდა ყოფილიყო ეს ხელსაწყოები, რომ უკეთესი და თავისუფალი საქართველო ყოფილიყო იმ პერიოდისთვის, მე ეს ხელსაწყოები არ ვიცოდი, აი ახლაც მე აქ მიწევს ბავშვებთან მუშაობა და ძალიან საინტერესოა როგორი თავისუფლები არიან ეხლა ეს თაობა, ახალი თაობა და მე მომწონს, მიხარია. მე მაგალითად აი ეხლაც კი ვერ ვარ თავისუფალი გესმით? იმიტომ რომ ვფიქრობ, ადამიანს ბავშვობიდან უნდა ჰქონდეს ეს, რომ იცოდე შეგნებულად და კორექტულად და ისე არა რომ თავისუფლება ნიშნავდეს, დავუშვათ, მაპატიე ასეთ იმას მოვიყვან ჩავიცვა დახეული ჯინსი ხო, ეს ხომ არაა თავისუფ... აი ის თავისუფლება,რასაც შინაგანად უნდა ჰქონდეს ადამიანს, ეს შინაგანი მე ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ მომწონს, ვაფასებ და ეს რაღაცა ამ ამერიკაში დავინახე, დავინახე აქ კიდევ ის, რომ თურმე, თუ იშრომებ, თუ გეყვარება საქმე, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს და ეს გარანტიაა შენი უკეთესი მომავალის, აუცილებლად. ესეც ახალი იყო ჩემთვის, იმიტომ რომ იქ, ჩემს განვლილ ცხოვრებაში შეიძლება იშრომო, შეიძლება აკეთო გულით, გაათენო ღამეები, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. და აქ ვისწავლე, რომ თუ სწორად იბრძოლებ, ბრჭყალებში იბრძოლებ, რაღაც საკითხის მოსაგვარებლად კანონის ფარგლებში, ამისი იმედიც უნდა გქონდეს და ამას მიაღწევ კიდეც და ასეთი ძალიან უამრავია. მე ვიტყვი, ძალიან მინდა ვთქვა ეს, რომ ჩემი მეუღლისგან და აი ამ ქვეყნისგან იცით მე რა მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვყოფილვარ ცარიელი ადამიანი არასდროს, ძალიან ახლოს ვიყავი და ვარ ლიტერატურასთან, კლასიკასთან აი აქ, აქ ვისწავლე და მივხვდი და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გავთავისუფლდი აი ამ ყველა იმისგან, გესმით? რომ ღირებულებები შემეცვალა, აი ეს ღირებულებების შეცვლა ვფიქრობ, რომ ამერიკის და ასაკის ბრალიცაა, ანუ მარტო ამერიკას ვერ მივცემ ამას, კრედიტს. უბრალოდ ამერიკის გავლენა და ასაკიც და ვიქტორი, როგორც ჩემი მეუღლე, მისგან ბევრი რამ ვისწავლე და ბევრს ვსწავლობ, ვსწავლობ უბრალოებას და ძალიან დიდ პატივს ვცემ თვითონ აი ამ შემეცნებას, უბრალოება, და ვფიქრობ, რომ სწორედ აი ამაშია ინტელიგენტობაც, განსწავლულობაც, მიმტევებლობაც და ყველაფერი, უბრალოებაში უნდა კეთდებოდეს

ყველაფერი ნამდვილი, მე ასე მჯერა არვიცი შეიძლება ვცდები, მაგრამ მე ასე ვხედავ ჩემო ძვირფასო და ასე ვგრძნობ ამას.

ინტერვიუერი: - თავდაპირველადვე ნიუ-იორკში ჩამობრძანდით თქვენ?

რესპონდენტი: - კი, კი

ინტერვიუერი: - აი რატომ გადაწყვიტეთ მაინც და მაინც ეს ქალაქი, ვთქვათ მეგობრები გყავდათ აქ ამიტომ აიღეთ ორიენტირი თუ სხვა...

რესპონდენტი: - კი კი, მეგობარი მყავდა, მეგობრები, მეგობარი მყავდა აქა, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინ წამოვიდა აქ.

ინტერვიუერი: - ქართველი?

რესპონდენტი: - კი კი, ქართველი და ჩამოვედი იმასთან და სიმართლე რომ გითხრათ მე არც ვაპირებდი, რომ დავრჩებოდი, გესმით? ჩამოვედი, ვაპირებდი მაქსიმუმი 1 წლით დარჩენას, იმიტომ, რომ, წეღანაც ვთქვი, ეს არ იყო ჩემს მომავალ მიზნებთან დაკავშირებული, გესმით? ჩემი ოჯახისთვის... მე მანამდე ასევე ოჯახს რომ დავხმარებოდი ისრაელშიც ვიყავი და 1 წელი ვიმუშავე და მთლიანი თანხა რა თქმა უნდა ჩემს ოჯახს მოვახმარე ყველაფერი და აი ასეთივე ვიფიქრე რომ, მაგრამ ასე მოხდა მერე, რომ შევქმენი ოჯახი და მერე სხვანაირი გახდა ეს ქვეყანა. როდესაც შენი ოჯახი გაქვს აქ, მერე რაღაცა სხვანაირია ეს დამოკიდებულებაც შენი, ნებისმიერი ქვეყნის მიმართ არა მარტო ამერიკის, სადაც გაქვს ოჯახი, რაღაცნაირად იმის იმაში ხვდები შენც.

იტერვიუერი: - ეს გადაწყვეტილება, რომ ცეკვის აკადემია და კულტურის აკადემია გაგეხსნათ, ცენტრი, უფრო მეუღლეს ეკუთვნოდა, ერთობლივად მიხვედით ამ გადაწყვეტილებამდე, რას შესთავაზებდით აუდიტორიას, როგორ მსჯელობდით ამაზე, რომ გაიხსენოთ:

რესპონდენტი: - ამ.. იცით მიყვარს ხოლმე ეს კითხვა და მადლობა, ამ... ეს ცენტრი მე არ დამიარსებია, ეს უკვე არსებობდა და ეს დაარსა ბატონმა ვიქტორმა 96 წელს, მე სულ არ ვიყავი ამერიკაში, როდესაც ეს ცენტრი უკვე არსებობდა, მან მოძებნა, აი 64 წლის მერე სულ ეძებდა აქ ინფორმაციებებს, თვითონ ძალიან განსწავლული ადამიანია, სამი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, გარკვეულ პერიოდში კოლუმბიის უნივერსიტეტში ასწავლიდა, მათემატიკოსია, სრული კურსი აქვს კიდევ გავლილი ფოლკლორს მხრივ, მმმ... და სულ იყო დაინტერესებული და ეძებდა ლიტერატურას საქართველოს შესახებ, არაფერი აქ მაშინ არ იყო, აბსოლიტურად ვერაფერი ვერ იპოვა. მიმართა მაშინ, აქ სათვისტომოს და მათაც რაღაცა უშოვეს მწირი რამ, ჩვენს სახლში ეხლა (იღიმის) არის წლების მანძილზე მოგროვილი ძველი ფირფიტები, შეიძლება არქივშიც აღარაა საქართველოში (იღიმის), ჩვენ გვაქვს ესეთი ძველი ფირფიტები

ანსამბლების, სხვადასხვა ანსამბლების ისტორიული . მერე კი იპოვა ეს ქორეოგრაფი მერაბ წერეთელი და ამასთან ერთად აქ დაარსეს ეს ცენტრი ანუ ცეკვის ანსამბლით დაიწყო და მარტო ამერიკელების. სხვათაშორის city ballet-ის სოლისტები ცეკვავდნენ ამ ანსამბლში, პირველი კონცერტი, მე მაქვს ვიდეო და ვნახე, კოსწიუმები არ ჰქონდათ, ცეკვის კოსწიუმები და შავი ქვედაბოლოებით და შავი ზედებით ცეკვავენ ეს ამერიკელები და იცი რა იყო ჩემთვის ყველაზე მგრძნობიარე, რომ როგორი სიყვარულით ცეკვავდნენ , ნუ რა თქმა უნდა ეხლა ისე ვერ იცეკვებდნენ, ჩვენთან ქართველები ბავშვობიდან სწავლობენ და გესმით მაგრამ აი როდესაც რაღაცა საქმეს აკეთებ რაც არ არის შენს სისხლშიმაგრამ ძალიან დიდი სიყვარულით აკეთებ, ეს სიყვარული ძალიან ალამაზებს იმ საქმეს, რასაც შენ აკეთებ, შეიძლება ბოლომდე არ იყო ახლა ისეთი მოცეკვავე მაგრამ, აი ეს საოცრება იყო და ვიპოვე ვიდეო, ეს... საოცრება იყო, ეს უფრო ადრეა და ვიქტორი და ეს მერაბი წერეთელი, კონცერტამდეა, ეს ადრეა ჩაწერილი, არიან Warwick - ში , არის upstate-ში ესეთი ადგილი, სადაც ჩვენ summerhouse გვაქვს იქა და სკოლაა, 400-მდე ბავშვია აუდიტორია და მშობლები და ეს ორი დგანან სცენაზე, ვიქტორს უკავია ჯოხი და არი გლობუსი და მუსიკა არის ქართული ხალხური და ვიქტორი ეუბნება მაყურებელს, მაყურებელს ეუბნება, რომ აი აქ არსებობს ქვეყანა, რომელსაც ქვია საქართველო, ამ ქვეყანას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს ნუ და ძალიან გამოირჩევა თავისი ტრადიციებით, კულტურით და ამბობს აქ ძალიან შრომისმოყვარე, კეთილი და ლამაზი ადამიანები ცხოვრობენო და ასე. იცით რა არის ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი რაღაც იყო იცით, რო ვნახე, ამ.. ძალიან თბილი იყო ჩემთვის როგორც ქართველისთვის და ახლა იმ პერიოდისთვის ნამდვილად არ ვიყავი გათამამებული, ამმ... იმით, ბევრი ცენტრებით და კულტურის ცენტრებით და რაღაცა ასეთის ნახვა, პატივისცემისა ჩემი ქვეყნის მიმართ ძალიან ბევრს ნიშნავდა, ძალიან ბევრს.

ინტერვიუერი: -თუ იცით ინფორმაცია ბატონი ვიქტორი და მერაბი როგორ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს, როგორ დაუკავშირდნენ, თქვენი მეუღლე ჯერ საქართველოში იყო როგორც მივხვდი 1964 წელს წასული, ანუ წინსწრებითვე იდეა იყო, რომ საქართველო მოენახულებინა თუ ანუ...

რესპონდენტი: - არა, არა, გეტყვით მაგას. ჯერ გეტყვით, მერაბი... მერაბიც გააცნო მეგობარმა ანუ საერთო, ქართველმა, რომელიც იცნობდა იმ მერაბს, მერაბი მერე გვიან ჩამოვიდა და იცნობდა ვიქტორსაც და ასე გააცნო და იცოდა რომ ვიქტორი ეძებდა მოცეკვავეს ვინმეს

ინტერვიუერი: - ანუ ჯერ არ იყო საქართველოდან ჩამოსული მერაბი ისე გაიცნო ბატონი ვიქტორი?

რესპონდენტი: - არა, არა, აქ გაიცნო აქ, ამ მეგობარმა, რომელიც აქ იყო, იმან გააცნო. დაა რა მკითხეთ? რაღაც მკითხეთ... კიდევ... (იხსენებს) როგორ გააცნოო...

ინტერვიუერი: - საქართველოში როგორ....

რესპონდენტი: - ა ხო, იცით რა არის ეს აბსოლიტურად არ, არც ჰქონდა მას ეხლა დიდი ინფორმაცია. 64 წელში მოხდა პირველადი გაცვლა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს პირველი იყო, სტუდენტების გაცვლა ანუ სამოგზაუროდ და ამერიკის უნივერსიტეტებიდან წარჩინებული სტუდენტები შეარჩიეს 15, და 15 საბჭოთა კავშირიდან, სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ეგ და შეარჩიეს და გაცვლით გააგზავნეს და ჰქონდათ თავიანთი მარშრუტი და იყვნენ მოსკოვი, ლენინგრადი, ბაქო, თბილისი იყო ერთ-ერთი და კიევი და აი ეს ქალაქები დაატარეს, ანუ ამათ კი არ ჰქონდათ მოგზაურობის გეგმა, გეგმა ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირს. კი, აქ კიდევ იმათ რაც ანახეს. მაშინ ძალიან განსხვავებულად იგრძნო ჩვენი შემოქმედება და იცით რა არის, მე უამრავი ამერიკელი მეგობრები მყავს და ამ წლების მანძილზე იცით რა არი, ძალიან ხშირად მინახავს როგორ მოსწონთ ქართული ცეკვა და სიმღერა. მერე ჩვენ გავიზარდეთ მომღერლები შემოგვემატნენ, მოცეკვავეები პროფესიონალი და ა.შ, მაგრამ მე არ დამავიწყდება პირველი წლები მხოლოდ ამერიკელი მაყურებლისთვის იყო. მოვღვაწეობდით, იმიტომ რომ მაშინ ქართველი მაყურებელი არც იყო და ანუ თვითონ კომპანიის დანიშნულებაც იყო პოპულარიზაცია საქართველოსი და კონცერტის, ნებისმიერი კონცერტის თუ სპექტაკლის წინ, ვიქტორი ჩოხაში ჩაცმული გამოდიოდა და უყვებოდა ხოლმე საქართველო სად არსებობს, მაშინ არც იცოდნენ რომ იყო ასეთი ქვეყანა, გეოგრაფიაული, ისტორიული, ის.. ხშირად ყვებოდა, იმას, ის როა , ის, მითი, ღმერთმა რომ დაანაწილა მიწები ... ხოო... (იღიმის) და სხვა ასეთ ისტორიებს , ამის ვიდეოებიც კი მაქვს მე. მერე გვყავდა ტრიო, ქალთა, ეხლაც არიან სხვათაშორის, მაგნოლია და ესენი რო მღეროდნენ ხოლმე ქართულად არ იცოდნენ რაზე მღეროდნენ დარბაზში, მაგრამ იცით როგორ ტიროდნენ ამერიკელი მაყურებლები? აი ვერ გადმოგცემთ, ეს მე თვითონ მინახავს და აი მერე მაშინ რომ მთავრდებოდა კონცერტები, ვიქტორის ჰქონდა ასეთი რამ რომ, მერე თვითონ და მონაწილეები ხვდებოდნენ ხოლმე მაყურებელს და პასუხობდნენ შეკითხვებს, თვითონ ვიქტორი პასუხობდა შეკითხვებს, ჰქონდათ ხოლმე ძალიან ბევრი შეკითხვა საქართველოზე, ნუ რაღაცა ისტორიული დაუშვათ, რაღაცა ან სიმღერაზე ან კულტურაზე ან რელიგიაზე იყო ხოლმე შეკითხვები, რა რელიგიაა ამ ქვეყანაში, ამმ... და ნუ ასეთი ბევრი რამ, ასეთი იყო და ეს ძალიან დიდი მასშტაბით იყო, ასობით, ათასობით კონცერტებია ჩატარებული თვითონ ამ ჩვენს კომპანიას და იცით რა არის მე ვიყავი უბრალოდ ნაწილი მე შევუერთდი ამას მოგვიანებით, ეს დაიწყო ვიქტრომა და მერე მე მივედი, ნუ მე ჩემი მხრიდან რაც შემეძლო ვაკეთებდი. მერე უკვე, დაიწყო ჩამოსვლა ქართველების, ეს თავისთავად მოხდა და თითქმის ყველა ხელოვანს ვინც ჩამოვიდა ასე თუ ისე, იმ პერიოდში რაღაცნაირად შეხება ჰქონდა ჩვენთან. და თანდათან შეიცვალა დანიშნულება, მერე ქართველი ბავშვები გაჩნდა ხო ბევრი, მანამდე სულ არ იყო და იმიტომ რომ ეს შენარჩუნებულიყო ქართული ცეკვას არ

ვიტყვი და არც სიმღერას არ ვიტყვი, ქართველობა, იმიტო, რომ თუ არ ხარ ახლოს შენს ლიტერატურასთან, შენს მხატვრობასთან, მუსიკასთან თუ მღერადობასთან თუ ა.შ, მარტო ქართული ლაპარაკი და ქართული გვარი ქართველად ვერ გაქცევს ხო, ანუ აი ეს გრძნობა რომ გქონდეს შენ, რომ შენ ქართველი ხარ და ქართულად აი ამ ყველაფერს შეიგრძნობ ამას უნდა წლები და რა თქმა უნდა ეხლა ვერ ავიღებ კრედიტს რომ მხოლოდ ჩვენ ან კულტურის ცენტრები ამას ვაკეთებთ, მშობლებთან ერთად ვიტყვი, იმიტომ რომ მშობლებს თუ არ აქვს ეს ინტერესი, ჩვენ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. თანდათან საქართველო გაიგეს, ქვეყანა, რაღაცა და უფრო ეხლა აგერ გახსნილია, უამრავი ტურისტები, სულ სხვა სიტუაციაა მაგრამ, როდესაც ჩვენ დავიწყეთ, არ იცოდნენ, სად იყო საქართველო და საერთოდ თუ არსებობდა, ძალიან ბევრმა არ იცოდა, ნუ საერთოდ ხომ იცით გეოგრაფია ამერიკაში ცოტა... (იღიმის) და შემდეგ აი იმ ძირითადს, პოპულარიზაციას, მიემატა ის რომ გვეფიქრა კლასებზე, ბავშვებისთვის, ჩვენთან ანსამბლში მონაწილეობდნენ ქართველები და ნუ მერე შევძელით რომ ყოფილიყო ცეკვის, სიმღერის კლასები, ბავშვებისთვის და ასე, ნუ ახლა უკვე ძალიან ბევრი გვაქვს, გარდა ამისა გავაკეთეთ ნიუ-იორკის ქართული თეატრი, სულ ვფიქრობდით სირთულეზე, ყველაზე რთული მაინც თეატრია ხომ და ვფიქრობდი ძალიან დიდი ხანი მინდოდა გამეკეთებინა, მაგრამ ვფიქრობდი დასზე, მსახიობებზე... ნუ ვფიქრობდი შეიძლება არ იყოს მსახიობი, იყოს ნიჭიერი და ამას თავი მოაბა, გააკეთო არა, მაგრამ ეს ხომ უნდა იყოს მისაღები მაყურებლისთვის არა? ამას ხომ შენ მაყურებლისთვის აკეთებ... და მერე მოვიფიქრე რომ, ქალ.. გოგოები მოგროვდნენ და ბიჭი არ გვყავდა და ვიფიქრე და ოტია იოსელიანის „6 შინაბერა და 1 მამაკაცს“, გავუკეთე ადაპტირება, ოღონდ ბატონმა ოტიამ მოგვცა უფლება და ნუ გავხადეთ პიესა ცოტა თანამედროვე, ახლა თქვენ ჩემზე მეტად ახალგაზრდა ხართ მაგრამ აი ის ეხება მე რო ვიყავი ახლა ახალგაზრდა და რაიკომის მდივანი და ის... ხოდა ანუ მე შევცვალე სულ, აბსოლიტურად ეს და მერე ჩამოვიდა ცუცა კაპანაძე, ჩემი ახლო მეგობარია. ხათუნა იოსელიანი ჩამოვიდა და იოსელიანი ცოტა გვიან შემოგვიერთდა, მაგრამ ნუ ჩვენ დავიწყეთ ეს და გავაკეთეთ „6 შინაბერა და 1 მამაკაცი“, და ეს იყო 2008 წელი, ხომ გახსოვთ რა ამბავი იყო 2008 წელს და ესეიგი მივდიოდით ხოლმე გამოსვლები რომ იყო აქ გაეროსთან და მერე ნუ პეტიციებზე და იცით როგორი რაღაც იყო, მერე დადგა ის რომ პრემიერა რომ უნდა გქვონოდა ნუ ვიფიქრეთ რომ ახლა არ გამოდიოდა პრემიერა და გვითხრეს, რომ იცი რა არი ეგ პრემიერა, შეიძლება სულ საპირისპიროდ გააკეთოთ და მართლა დავუჯერეთ და ვითამაშეთ მერე ეს პრემიერა და დარბაზში ხალხი დროშებით იყო მოსული და ჩვენც ფინალში ესეთი პატრიოტული ლექსები წავიკითხეთ და ვტიროდით ჩვენ სცენაზე და მაყურებელი დარბაზში და იცით რა არ დამავიწყდება ეგ დღე არასოდეს ჩემს სიცოცხლეში, ძალიან დიდი მადლობელი ვარ ვიქტორის, იმიტომ რომ ეს ყველაფერი შესაძლებელი გახადა მხოლოდ იმან რომ მან თავისი თანხები გაიღო აბსოლიტურად, დარბაზისთვის, მსახიობებს მივეცით რაღაცა მცირე თანხა, 300-300 დოლარი, მაგრამ ნუ მაინც ხომ

რაღაცაა, თავისი დრო და ყველაფერი ეხლა, თანაც ეს დარბაზის... ნუ ხო გესმით არა, ყოველთვის ძალიან დიდი მადლობელი ვიქნები ამ ადამიანის, არა იმიტომ რომ, ნუ როგორც მეუღლეს კი არა როგორც ამერიკელ ადამიანს მე, როგორც ერთი უბრალო ქართველი ადამიანი ყოველთვის მადლობელი ვიქნები იმისა, რო მე ვიცი, მე ვნახე როგორ აკეთებდა ამ საქმეს და როგორ აკეთებს ეს ადამიანი, ძალიან გულწრფელად, ალალად და ყოველგვარი ამბიციების გარეშე,მე ერთხელ ერთ რაღაცასაც გეტყვით, იყო ასეთი რაღაც რო, ნუ რაღაცა ისეთი, მე გული დამწყდა რაღაცაზე და იცით რა მითხრა მან, მე არ ვაკეთებ არაფერს იმიტომ, რომ რაღაც მივიღო, ვაკეთებ იმიტომ, რომ მიყვარს და პირიქით, მე მადლობელი ვარ რომ აი ეს ხელოვნება გავიცანი, ნუ გავიცანი ამ ქვეყნის ხელოვნება, ასეთია ჩემი და ვიქტორის ისტორია, ჯერჯერობით.

ინტერვიუერი: - ძალიან საინტერესოა, ცოტა უფრო ყოველდღიურობაზეც რომ მოგვიყვეთ, გარდა ვთქვათ ამ კულტურის ცენტრისა, სადაც ამდენ რამეს აკეთებთ, ქართულ საქმეს მათ შორის, როგორია თქვენი ყოველდღიური ცხოვრება, დამატებით თუ საქმიანობთ სხვა სფეროში, რას აკეთებთ, ვისთან ურთიერთობთ, თუ გაქვთ კომუნიკაცია ქართველებთან, სხვა სამეგობრო წრე ვინ არის თქვენი, აი ამაზეც რომ გვესაუბროთ:

რესპონდენტი: - მე რას ვაკეთებ და არ შემიძლია, თავიდან რომ ოჯახი შევქმენით ხო, ძალიან.. ის პერიოდი მქონდა რომ არ ვმუშაობდი არაფერს არ ვაკეთებდი და მთელი დღე გულახდილი ვიქნები და გეტყვი რომ სახლს ვალაგებდი ერთი 10-ჯერ დღეში, ვცვლიდი დეკორაციებს მაგალითად, შევცვლიდი ავეჯის მდებარეობას და ა.შ. მერე ვკითხულობდი წიგნს და ასე, ასე გაგრძელდა, მერე მომინდა, რომ რაღაცა გამეკეთებინა, ანუ საქმე და დავი.. შე.. იცი რა ძალიან ბუნებრივად მოხდა ეს ყველაფერი, ვისწავლე როგორ არის დამუშავება ვერცხლის და ოქროსი და გავხდი.. და ვაკეთებდი სამკაულებს, ჩემი სტილი არი ასიმეტრიული დიზაინები და მერე ისე მოხდა რომ მე დავდიოდი ძალიან მაღალი დონის შოუებზე და იყო ხოლმე გამოფენა-გაყიდვები, და აი აქ ვაკეთებდი ამ სამკაულებს, სხვათაშორის კოვიდამდე და კოვიდის მერე შევწყვიტე იმიტომ, რომ საოცრად რთულია ეს ყველაფერი, საოცრად რთული გასაკეთებელია, მაგრამ ძალიან მიყვარდა, უკვე აი თითეული ნაწილი, ჯერ ერთი შენი აზროვნების ნაწილია, მაგრამ... ცოტა არ ვარ მე კარგი, მაგალითად ყიდი რაღაცას ხომ, ყოველთვის მერიდება ხოლმე, თანხის აღების და როგორც კი მეტყოდნენ რომ (იღიმის) ეს ამდენში შეიძლება, ეს.. ვერ ვეუბნებოდი რომ არა, გესმით? ანუ ჩემგან არასდროს არ დადგება ბიზნეს woman, ქალი... არასდროს არ ვიქნები ეგ. გარდა ამისა, ჩემო კარგო, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქ, აქ ჩემი მუშაობიდან ბავშვებთან, მუსიკალური თეატრი გვაქვს პატარა ბავშვების, სამ.. ანუ თეატრი 3-დან 7-წლამდე ცუცა ასწავლის და შემდეგ 7-დან ზემოთ მე, მერე არი ნიუ-იორკის ქართული თეატრის პროფესიონალებთან სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი ვარ და კიდევ გვყავს კიდევ, ახალგაზრდული დასი და ეხლა გერმანიაში მიგვაქვს სპექტაკლი

შერეკილები, მიუზიკლი არაფერზე, რომელიც ჩემი პიესაა და აი ამას მოგიყვებით, როგორ გავხდი სცენარისტი, ანუ ბავშვები, რო გყავს ჯგუფში ხო, არის, ბევრს ვერ მიიღებ თეატრში, მაგალითად ნუ მე მაქსიმუმს 20-ს ვიღებ და მეტს უარს ვეუბნები ხოლმე, მაგალითად 20 ბავშვი, ძალიან მტკივნეულად განიცდიან ესენი, როდესაც შენ ვიღაცას აძლევ მთავარ როლს და ვიღაცას აძლევ ნაკლებს და ამას ისე კი არ განიცდიან, როგორც ახლა უფროსმა შეიძლება თქვას, აუ რა არი, გულში განიცდიან, შინაგანად განიცდიან, ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული საკითხია, მე არ მინდა, რომ ვიღაცამ იგრძნოს, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანია, არადა ეს ისეთი ასაკია, ამიტომ ჩემო ძვირფასო, გადავწყვიტე, დავიწყე სცენარების წერა, თან როგორი სცენარებია იცით, ყველა მთავარი გმირია, აი მაგალითად 16 ბავშვი თუა, 16-ვე მთავარი როლია და ა.შ. და აი ამას და ისე გავთამამდიმერე რო, ჩემმა ორმა სცენარმა გრანტი მიიღო. ერთი იყო „სარკე“ და მეორე იყო აი ესა „შერეკილები - მიუზიკლი არაფერზე“ და ამით ვარ ხოლმე დაკავებული, ვწერ ხომ, თან იცით როგორია რომ, ხო ძალიან სასიამოვნოა, როდესაც წერ, როცა გაქვს გარემო, რო ფიქრის დრო გაქვს და მე არ მაქვს ფიქრის დრო, რომ მაქვს პერიოდი უნდა დავწერო (იღიმის), ახლა მე უნდა დავწერო ეს და მივუტანო ამ ჩემს ბავშვებს, რომელიც გულისფანცქალით ელოდებიან და ზოგი ისე განიცდის, მაგალითად ერთი სცენა თუ მივიტანე და იქ ბევრი არ აქვს, ვეუბნები, შენსას ვწერ და მოვიტან არ ინერვიულო და ასე გავხდი სცენარისტი. ახლა უკვე დაწერილი მაქვს ერთი 14 სცენარი და თავიდან სულაც არ მიფიქრია (იცინის), რომ რა ქვია, საჭიროებამ მოიტანა და იმდენად განვიცდიდი ამას და არ მინდოდა, რომ მათ ეს ტკენოდათ, რომ ნებისმიერი ისტორიაში ხომ არი არა, ყველგან არი მთავარი როლი და მეორადი, ყველაფერში და ყველგან (იღიმის), ჩვენთან არა, ჩვენთან ყველა მთავარი გმირია, ჩემო კარგო, სერიოზულად ვიძახი და აი მაგით ვარ დაკავებული, გარდა ამისა, აამმ... ეხლა 22 აპრილს ვაკეთებ დიდ შოუს და ყველა ორგანიზაცია რაც კია აქა, ნუ ახლოს, პენსილვანია, ნიუჯერსი და ნიუ-იორკი, 7 კულტურის ცენტრია, ყველა მოვიწვიეთ და ვაკეთებთ ბავშვებისთის ფესტივალს, ნუ 300-მდე მონაწილეა და მე როგორც ადამიანი, ამით რა მინდა იცით, ამ შოუს დავარქვი „ხორუმი ქართული ცეკვაა“ ეხლა ამ წუთას ამაზე ვმუშაობ, მინდა, იცი რა, ძალიან მტკივა ხოლმე რო კონკურენცია ხშირად გადადის ხოლმე ერთმანეთის შეურაცხყოფებში და აი ძალიან ჯიბრიან ურთიერთობებში და მე მინდა რომ აი ამ შოუთი ვთქვა, რომ აი „ხორუმი ქართული ცეკვაა“, ერთად უნდა ვიყოთ და იცი რა, ძალიან კარგია ამბიციურობა, ძალიან კარგია კონკურენცია, ყველაფერი მაგრამ, მინდა, რომ ამ შოუთი ვთქვა, რო მოვეფეროთ ყველა ერთმანეთს და აი ჩვენ ერთად ვართ და ქართულ საქმეს რო ვაკეთებთ არ აქვს მნიშვნელობა, მე ახლა დიდი ხანი ვაკეთებ, შენ ცოტახანს თუ იმას, ხო აკეთებ არა, მინდა ვთქვა, რო ეს ქართული საქმე ჯერ საქართველოსთვის უნდა გააკეთო, ქართველებისთვის და მერე შენთვის ხო, ეხლა ძალიან განვიცდი, გესმით, ამას მე და სანამ მე შემიძლია მინდა ეს დავაანონსო, მინდა რო ყოველწლიური ფესტივალი იყოს, ეს საქველმოქმედო ფესტივალი იქნება, წელს პირველად არის და ნუ ყველაფერი ისე

ვერ იქნება როგორც მე მინდა პროექტში მაქვს ჩადებული, მინდა რომ შემდეგ, ხომ მაქვს ურთიერთობები არა იტალიის კულტურის ცენტრთან, ჰოლანდიის და ასე ყველასთან მაქვს ურთიერთობები, რომ შემდეგ წელს ანუ იმათაც გააკეთონ რაღაცა და ყველამ ეს გავხადოთ საერთაშორისო სიკეთის ფესტივალი, თან მინდა რომ, ვაკეთებ ასევე, ამ ბავშვებისთვის ვაკეთებ გამოფენა-გაყიდვა, ანუ ბავშვები დახატავენ და ამეებსაც გავყიდით და ამ ფულსაც გავუგზავნით. მინდა რომ ამ პატარა ბავშვებმა ეხლავე იგრძნონ და იცოდნენ რო აი ვიღაცას დაეხმარა და რომ ეს კარგია და ნუ, ვიღაცას კი არა, მაპატიე, ქართველებს დაეხმარა, რაღაცა კარგი, თავის ქვეყანას დაეხმარა, და რაღაცა აი, ეს კავშირები რო ჰქონდეს და აი ხო საინტერესოა აი თქვენ მკითხეთ, თქვენი პირადიო, მე პირადი არაფერი არ მაქვს, მაქვს ყველაფერი აბსოლუტურად ჩემი ყოველი წამი და ყოველი წუთი დაკავშირებული აი ამ ცენტრთან. ეს ჩემი დიზაინებიც, რასაც ადრე ვაკეთებდი, ეს იყო და აი ძალიან რთული კი იყო ეგ ყველაფერი და აი ეგ მორჩა და ახლა და ახალ შენობაში გადავედით, დიდი ფართობი გვაქვს, ძალიან მიყვარს და სხვათაშორის (იღიმის), ვმუშაობდი, როგორზე აი იცი დურგლობაც შევითავსე, ოღონდ მართლა და კედლები და რაღაცა ესეთები, მაღალ კიბეზე ვიდექი ეს 62 წლის ქალი და ასე ვაკეთებდი ამას, იმიტო რომ მიყვარს ასეთი აი, რაც მიყვარს ასე მგონია ყველაფრის გაკეთება შემიძლიათქო, ჯერჯერობით, მადლობა ღმერთს გამომივიდა, რავიცი, არავინ არ უთქვამს შენიშვნა იმ ჩემს გაკეთებულ კედელზე ან ჭერზე ან რამეზე და საერთოდ სულ ვფიქრობ ხოლმე, აი სულ ვფიქრობ, ვიღაცამ რომ მკითხოს, რომ აირას ურჩევ, აი რას, ნუ მე არ ვარ ეხლა ის, ისეთი დიდი ფილოსოფოსი, ან ვიღაც, ან ვიღაც რო ეს მკითხოს, მაგრამ ისე ვიძახი, მეგობარმა, ვიღაცამ რო რომ მკითხოს, რას იტყვი, ვიტყვი, რო ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ აკეთო საქმე, რომელიც გიყვარს და ვფიქრობ, რომ თუ ეს, თუ ამას ესე ხარ... მაშინ ბედნიერიც ხარ, კმაყოფილიც ხარ, სხვასაც აბედნიერებ ვინც შენს გარშემოა, ნაკლებს წუწუნებ და ა.შ, იმიტო რო რათქმაუნდა ჩვენი უარყოფითი ენერგიები და განწყობები, რომელიც მაინც გვექნება და ყველას გვაქვს ესეც მაინც გაივლის, იმიტო რო ძირითადად მაინც ბედნიერი ხარ იმიტო, რო აკეთებ საქმეს, რაც გიყვარს. ამმ... ჩემი ცხოვრების ის არის რა, ეს აზრი, რო ნამდვილად ეს არის, ამაშია, ვფიქრობ ბედნიერების საწყისი, გარანტია რაღაცა. ასე რომ ჩემო კარგო...

ინტერვიუერი: - საქართველოსთან, გარდა იმისა, რომ აქ სრულად ქართულ საქმეს ემსახურებით, საქართველოში თუ გაქვთ დღემდე შენარჩუნებული კონტაქტები მეგობრებთან, პროფესიულ წრეებთან, თუ სტუმრობთ საქართველოს, რამდენად ხშირად აი რა გაკავშირებთ ახლა ამ ეტაპზე სამშობლოსთან.

რესპონდენტი: - okay, so… ძალიან დიდი ხნის წინათ, როცა პირველად წავედი საქართველოში, ანუ ჩვენ, რომ 98-ში... დავქორწინდით (იხსენებს), რაღაცა 3 წლის მერე, ან 4 წლის, არ მახსოვს ზუსტად, საბუთები, რომ ავიღე წავედით პირველად ორივე, რომ მივდიოდი, აქ ვინც ქართველი კი იყო, ბევრი არ იყო, მაგრამ ვინც იყო,

ყველამ გამაცილა, ყველა ტიროდა და რომ ჩავედი, ჩემები ხომ ვნახე და იმის მერე, 1 კვირით ვიყავით წასული, აი ეს ერთი კვირა, მოვიარეთ ყველას ოჯახები, მე ხომ არ ვიცნობდი, ეს ადამიანები, ზოგი აქ გავიცანი ეს ქართველები, აქ, მომცეს მისამართები და ჩამოვიარე ყველას ოჯახები და ვიდეოები ჩავიწერე ყველასი, რომ ჩამომეტანა აქ ამათთვის, მაშინ არ იყო არც zoom, არც facetime, დარეკვაც ძალიან ძნელი იყო, ამიტომ მთელი ის კვირა, ჩემი პირველი ჩასვლა მოვანდომეთ მე და ვიქტორიმ ჩაწერებს ამ ოჯახებისთვის, იმიტომ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რომ ესენი გამეხარებინა და ჩამოვიტანეთ ყველას ოჯახის ვიდეო, ყველა გავიცანი და ყველას ოჯახი ვნახე და სხვა ბევრი არაფერი არ მინახავს მაშინ და შემდეგ ძალიან ხშირად ვერ დავდივართ, იშვიათად მივდივართ, რადგან ძალიან დაკავებულია ვიქტორიც და ძალიან დაკავებული ვარ ხოლმე მეც და ვერ ვასწრებთ, მაგრამ აი მერე რომ ჩავედი, ძალიან დიდი გულისფანცქალით მივდიოდი, აი ერთი სული მქონდა როდის დაჯდებოდა თვითმფრინავი, როდის გავიდოდი გარეთ და მეორე დღეს როგორც კი გათენდა, ძალიან მიყვარდა პლეხანოვი, აი ძალიან, და ესე ვთქვი, რო მოდი მე მარტო წავალ, მინდოდა რომ მარტო წავსულიყავი, წავედი და ვიარე, ვიარე, ძალიან ბევრი ვიარე და იცი რა, ყველაფერი ძალიან ლამაზადაა გაკეთებული, აი ქუჩები, სახლები, შელა... ისა რა ქვია, შეღებილი, რაღაცა ესეთი ლამაზი, იქ კაფეები, ბარები, მაგრამ მე რასაც ვეძებდი, აი მე... სახელს ვერ დავარქმევ, იქნებ ჩემს თავს ვეძებ... არვიცი რას ვეძებდი, მაგრამ ის არ დამხვდა იქ, გესმით? აი დიდხანს ვიარე და აი ეს რაღაცა ვერ დავინახე, აი ადამიანები სხვანაირად დადიან, სხვანაირად საუბრობენ, მაშინ რო მოვდიოდით ხოლმე ქუჩაში ესე, რამდენი ნაცნობი შეგხვდებოდა, მერე გაჩერდებოდი, რაღაცას მოგიკითხავდა, იქ რაღაც ის დაგიძახებდა ზევიდან, როგორახარ, იქ იმას შესძახებდი, დეიდა, ქეთო, როგორ....(იღიმის), რაღაცა აი, რაღაცა ერთიანის ნაწილი ვიყავი მეც, აი თბილისური ცხოვრების ნაწილი ვიყავი, გესმით? და აი ეს უკვე ვიგრძენი, რო მე არა ვარ და არ ვიცი, არ ვიცი როგორ ისა... ერთი კაფე დავინახე, დარჩენილი, ძველი, მარჯანიშვილის მეტროდან რომ გამოდიხარ, მეორე მხარეს იყო პატარა კაფე და იქ იყიდებოდა ღვეზელები და ქართულად რა ქვია, კრემიანი ფუნთუშა? პონჩიკს რო ეძახიან, კრემიანი ფუნთუშა და ძალიან იცი რა, ყოველთვის გეპეიდან, რო მოვდიოდი, ფეხით მოვდიოდი, და ესე რო მოვდიოდი შევიდოდი ხოლმე და ნუუ... ძალიან დიდი სურვილი.. შევედი იქა და ველოდები, ველოდები, ველოდები (იღიმის) ნუ და როგორც კი რიგი მომიწია, ამ ქალს დაურეკა ვიღაცამ (იცინის) და დაიწყო ტელეფონზე, ლაპარაკობს და ლაპარაკობს და ნუ აი აღარ გაჩერდა გესმის და მე არ ვარ, საერთოდ, ცოტა ისეთი ტიპი ვარ და ძალიან დიდი ბოდიშით, მე ვუთხარი, უკაცრავად მეთქი რა, თუ შეიძლება, ეხლა ამდენი დროც არ მქონდა ეხლა მთელი დღე, ისე გამლანძღა, ისე გამლანძღა და მე როგორ იცით, პატარა ბავშვივით ვიტირე, არ მავიწყდება თითქოს შენიანი იპოვე, , ეხლა მე მგონი აღარცაა, არვიცი, იქეთკენ აღარ გამიხედია, მარა ისეთი გულნატკენი წამოვედი, დიდხანს მახსოვდა, აი ეხლაც მახსოვს, ეს რამდენი წლის წინ მოხდა მაგრამ აი მაინც მახოვს, მაგრამ

სამაგიეროდ ბევრი მეგობრები მყავს საქართველოში, ძალიან კარგები, ძალიან თბილები, ეხლა მე ვერაფრით ვერ განვსაზღვრავ ჩვენს თბილისს და საქართველოს ამ ერთი პიროვნებით, მაგრამ სახასიათო რაღაც მოვყევი, გესმით ახლა, ეგეც და შემდეგ სხვებმა უთხრეს, როგორ გეკადრებათ და რაღაც, სხვებმა ეკამათეს ამას და ესა, მაგრამ ძალიან კარგი მეგობრები მყავს, ბევრი მეგობრები მყავს, სამწუხაროდ ხშირად ვერ ვხვდები მაგრამ, ურთიერთობები მაქვს რა თქმა უნდა, როცა ჩამოვდივარ ვნახულობ, აი პროფესიონალურ წრეებს, რაც შეეხება, ვიცნობ ბევრს, ძალიან, მაგრამ , ძალიან ბევრსაც უკვე ვეღარ ვიცნობ, იმიტო რო მე რომ წამოვედი მაშინ, 25 გამოვიდა ხო, თუუ... 25... მაშინ, ამდენი ხნის წინ ხო წარმოგიდენიათ იქ სულ სხვა ვიღაცეები იყვენენ, ყველგან, ტელევიზია, ჟურნალისტიკა, აბსოლუტურად ყველა იყო სხვა, ყველა. ახლა აი 100%-ით შეცვლილია. ამიტომ აქ რომ არიან ხოლმე და რომ ჩამოვლენ, დახმარება სჭირდებათ ან რაღაც და არის ცნობადი სახე საქართველოში ხო და რო მეუბნებიან ეს არის, ვაიმე მე არ ვიცი, მართლა არ ვიცი, ხო აი საიდან უნდა ვიცოდე ხომ, მაგრამ იცი რა არი, მიყვარს ხო, ხო აი რა მინდა ვთქვა, ძალიან დიდი სხვაობა, რაც იქ იყო საქართველოში და აქ არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მე ძალიან კარგი მეზობლები მყავს, upstate-ში, მაინც ვიტყვი რომ მეზობლობის კულტურა, აი რაც საქართველოშია, ასეთი აქ არაა და მეგობრობის კულტურა ასევე, ქართული, ძალიან ძლიერი სკოლაა, მეგობრობა, ასე იყო ყოველშემთხვევაში და არვიცი ეხლა ამ წუთას, მაგრამ ესე იყო. ისე გავიზარდეთ რაღაცა, ფსიქოლოგები დახმარების გარეშე. ფსიქოლოგები ჩემს დროს არ იყო, საბჭოთა კავშირში არ იყო ფსიქოლოგი, არ გვჭირდებოდა ეტყობა (იღიმის), მაგრამ ეს მეგობარი იყო, ეს ყველალფერი, აი ფსიქოლოგის დანიშნულება იყო მეგობარი, მეგობრობა იყო ეს, ეს იყო ძალიან ძლიერი და არის, საქართველოსთვის ეს არ ვიცი რაღაცა, ალბათ ყველასთვის საჭირო რა, ყველა კულტურისთვის საჭიროა ძალიან ძლიერი მეგობრობის ინსტიტური, იმიტომ რომ ძალიან ბევრს წყვიტავს, მე მშობლები ადრე გარდამეცვალა და ობოლი.. ობლად გავიზარდე...და ალბათ ძალიან დაზიანებული მექნებოდა ჩემი ფსიქოლოგიური სისტემა, თუ არა მეგობრები, იმიტომ რომ ძალიან... ძლიერი იყო მათი თანადგომა და ყველაფერი და გულახდილები ვიყავით ერთმანეთთან, მე მაგალითად არ მყოლია მეგობარი, რომელთანაც რაღაცა პრობლემა მქონია ან გამჩენია, ყველა ძალიან ერთგული შემხვდა, ძალიან მადლობელი ვარ ამისთვის ღმერთის, ყველა ერთგული და ყველა... არასდროს არ დამხვედრია არაფერი, ყველა ძალიან თავდადებული, გამმეტებელი და თბილი იყო, ყველა აბსოლიტურად ჩემთან.

ინტერვიუერი: - კიდევ, რომ მივუბრუნდეთ, თქვენ ახსენეთ, რომ გინდათ 22 აპრილს საფუძველი ჩაუყაროთ ამ ყოველწლიურ ერთიან, მეგობრულ, არაჯანსაღი კონკურენციისგან დაცლილ ფესტივალს და განცდა იყოს, რომ ყველა აკეთებს ქართულ საქმეს და უნდა ვაკეთოთ ერთად. გაიხსენეთ კიდევ, რომ მაინც თქვენი ეს ორგანიზაცია იყო პირველი და მერე თანდათან სხვა ცენტრებიც შეიქმნა, აი რა

პერიოდებში იყო უფრო აქტიური, როცა სხვა ცენტრები იქმნებოდა? აი ეს ემიგრაციის ახალი ტალღები რა პერიოდს ემთხვევა, და თუ არსებობს რამე ქართულ თემში თუ არსებობს ერთიანი კულტურა ურთიერთდახმრების, რამე სისტემური მიდგომა თუ არის, აი მაგალითად ვინმე ჩამოდის, მას თავშესაფრით ვუზრუნველყოფთ, ან სხვა ტიპის დახმრება სჭირდება მოდი ამ ფორმით დავეხმაროთ, თუ გაქვთ ინფორმაცია?

რესპონდენტი: - მინდა ზუსტად გავიგო, ანუ ეს დავუშვათ, ვიღაც ჩამოდის, დახმარება ჩვენს ცენტრებს შორის ლაპარაკობთ?

ინტერვიუერი: - ცენტრებს შორისაც შეიძლება, მაგალითად მოგმართონ, რომ გამოცდილება გაუზიაროთ, რომ თვითონაც აპირებს რაღაცა ცენტრის ჩამოყალიბებას, მოსაზრება აინტერესებს. შეიძლება ახსენეთ კიდევაც, რომ შეიძლება ცნობადი სახე ჩამოდიოდეს დახმარება სჭირდებოდეს, მოგმართონ თხოვნით, რამე სისტემური გამოცდილება გვაქვს თუ ეს ერთეული ჩანართებია და უფრო სანაცნობო კონტაქტებს უკავშირდება, აი მაგალითად ვისაც ვიცნობ იმას მივმართავ, რომ დამეხმაროს, აი როგორ დგება ეს კომუნიკაცია, ურთიერთდახმარების მექანიზმებს როგორ პოულობენ ქართველი ახლადჩამოსული ემიგრანტები?

რესპონდენტი: - ჯერ ვიტყვი ხო, პირველი ქართული კულტურის ცენტრი ვიყავით ჩვენ, ჩვენთან იყო ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები“, მისი ხელმძღვანელები ჩვენთან მოღვაწეობდნენ წლების მანძილზე და შემდეგ ჩვენ გამოგვეყო ეს ცენტრი და ახლა ცალკე მოღვაწეობს წარმატებულად, ასევე ჩვენთან იყო ქორეოგრაფი ირინა ხუცურაული, მან, ეგეც გამოგვეყო ჩვენ, წავიდა და გახსნა ცალკე ირინას აკადემია, ეგეც ჩვენიდან წავიდა და თითქმის უმრავლესობა, ვისაც ეს რამოდენიმეს გამოკლებით ხო აი ამ ხელოვანებს, თითქმის ყველასთან გვქონია კავშირი, ან ყოფილა ჩვენს კომპანიაში ან ეხლა არის ჩვენს კომპანიაში. მართალია, ბევრს უკვე აღარ ახსოვს ესეთი რაღაცა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ უმრავლესობას, მაინც ახსოვს. ასე რომ, ხო. ეხლა იცით რა მოხდა, მოხდა ის რომ ამ ემიგრაცია რო იზრდებოდა ხო, მოდიოდა და მოდიოდა უფრო მეტი, ახლა ამან გამოიწვია, სხვადასხვა ადგილებში ცენტრების გახსნა. ანუ ეს ცენტრების გახსნა გამოიწვია მოთხოვნილებადობამაც, იმიტომ რომ ახლა წარმოიდგინეთ ერთი ცენტრი ვერ იქნებით ხო, როცა უკვე დიდი რაოდენობაა მე ასე ვამბობ ხოლმე რო, ჩვენს ცენტრში ახლა გარკვეული, მე მაქვს ასეთი პრინციპი, სხვაგან რამდენსაც უნდა იმდენს მიიღებენ და ღმერთმა ხელი მოუმართონ, ჩვენთან არ შეიძლება ეხლა ნებისმიერი რაოდენობის ბავშვის მიღება, ვერ მივიღებ ამაზე მეკამათებიან ხოლმე, მაგრამ მე ვამბობ რომ, ეს ბავშვი, რომ მოდის, როგორ შეიძლება 1 გაკვეთილში 60 ბავშვს ერთდროულად მიაქციოს მასწავლებელმა ყურადღება, ეს გამორიცხულია, მე ამას ვერავინ ვერ დამაჯერებს, მე მინდა რომ კლასში იყოს იმდენი ბავშვი, რომ ამ ბავშვს ჰქონდეს გარანტია, რო მასწავლებელი აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას, ამაში აი

ჩემი ხედვა არის ასეთი, აქედან გამომდინარე, არცერთი, ერთი და ორი კულტურის ცენტრმა ახლა უკვე იმდენი ბავშვია, რო ამას, ამიტომ ძალიან კარგია და მისაღებია რომ იყოს ბევრი, ისე როგორც სხვა კულტურებისაა ხო და ყველა ცდილობს რო გააკეთოს თავისი საქმე საუკეთესოდ და კარგად რომ ეს ქართველობა რაღაცნაირად შევინარჩუნოთ და ხო და აი ამან გამოიწვია, რაოდენობამ. გარდა ამისა, ახლა რაც მეორე კითხვა იყო, ეგ რა არის იცით... (იღიმის), თავისთავად ჩამოყალიბდა, ადრე ხომ მარტო ჩვენ ვიყავით და მარტო ვიქტორი იყო და თუ გადახ.. თუ დახედავთ, შეიძლება მე არვიცი, ტყუილი რომ არ გამომივიდეს, მაგრამ, ამ.. აქ ნიუ-იორკში, სადაც მე ვიცი ეს სამყარო, ქართული კულტურისა ამერიკაში, რაც მე ვიცი, არავინ არ არის ამერიკელი მეორე, ერთი არის კიდევ კარლი, ლინიკი, რომელიც ჩვენი მეგობარია და რომელიც ჩვენთან ადრე ურთიერთობდა, ქართული სიმღერის ანსამბლი აქვს, მაგრამ ის რომ კულტურის ცენტრი ჰქონდეს და თავის თანხებს ხარჯავდეს და ასეთი, მე არ ვიცი, მაგრამ თუ არის ღმერთმა გაუმარჯოს . მაშინ ხომ მარტო ჩვენ ვიყავით და ყველას ვისაც კი გაუჭირდებოდა, ქართველი რო ჩამოვიდოდა, იცოდნენ რომ უიმე ვიქტორი არის ასეთი, ზოგი იცნობდა, ზოგს ყური ჰქონდა მოკრული რაღაცა და ასე მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან. ზოგს სახლი არ ჰქონდა და ჩვენთან ცხოვრობდნენ მაგალითად, მე რომ გავთხოვდი და ოჯახი შევქმენი, ვიქტორთან რომ მივედი სახლში, ჩვენთან ცხოვრობდა 7 ქართველი ბიჭი, არ ჰქონდათ წასასვლელები, დამხვდნენ, დამხვდნენ.... არა მე რო მივედი, ცხოვრობდა ერთი ქართველი კაცი და ცოტახანში მერე მოვიდნენ ისინი და ისინი ჩვენი ოჯახის წევრები არიან, ახლაც გვაქვს ურთიერთობა და ძალიან კარგი ქართველები და ნუ რავიცი, ძალიან მიყვარს ყველა. მაგრამ ნუ ამას ვამბობ, ვიქტორისთან, ანუ შემდეგ შეიძლება ჩვენთან არ ცხოვრობდა მაგრამ, ვიღაცას გაუჭირდა, მაგალითად გააჩერეს და ჩამოართვეს, არ ჰქონდა მართვის უფლება, ჰქონდა ქართული და სასამართლოშ აუცილებლად მივყვებოდით მე და ვიქტორი მათ და ვეხმარებოდით, რაღაცა, ან და ავარია მოუვიდა ვიღაცას, ღამის 4 საათზე ავდგებოდით ორივე და მივდიოდით, ანუ აი ვიქტორი ძალიან ბევრს დაეხმარა, აი ეხლაც ვიღაცა, ნუ დაუშვათ, თუ არ იცის, რას ამბობ იმდენს დაეხმარა მაგის სიკეთეს რა გადაიხდის, აი ხშირად ამობენ ხოლმე, ეს ძველი ემიგრაციის წარმომადგენლები, ეხლა ახლებმა უფრო ნაკლებად, მაგრამ ეხლა უკვე იმდენია, რო ბევრიც არი ვინც დაეხმარებათ და გზაზე დააყენებს, ქართველი ადვოკატებიც არიან, მრჩევლებიც, არის სხვა ორგანიზაციებიც, სათვისტომოცაა და ეს და ნუ ბევრია უკვე, მეგობრები ყავთ კიდევ და ყველა ეხმარება, მაგრამ მასინ ძალიან ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანი მოდიოდა ხოლმე, ხელოვანები ძირითადად, რო დახმარებოდა ვიქტორი ნებისმიერ... ნუ ჩვენ არასდროს არავინ არ ჩამოგვიყვანია, იმ გაგებით რო აი ჩამოდი და ესეთი არ ყოფილა, მაგრამ როცა უკვე აქ იყო ხელოვანი და უჭირს, აი ამაზე მაქვს ლაპარაკი, დავხმარებივართ. აი ეხლაც მაგალითად მხატვარია ერთი და ნუ... ჩვენთან მივიღეთ და ვამუშავებთ, იმიტო რო ნუ ჭირდება, რაღაც საბუთებს აკეთებს და ავიყვანეთ თეატრის მხატვრად, ნამდვილად გვჭირდებოდა ეხლა, იმიტომ კი არა რომ, ტყუილი,

ერთადერთი რაც არის ხოლმე, (იღიმის) არასდროს არ შეუძლია ტყუილი რაღაცის გაკეთება და მიჭირს... მიხდება ხოლმე რო ახსნა, რო იცი, ხოიცი როგორაა რა მოხდა ეხლა ვინ შეამოწმებს.. ვეუბნები განა ვინმე შეამოწმებს, თვითონ აი ესეთი ადამიანია, რო სხვათაშორის მეც ესეთი ვარ რო, აი ვერ დამეძინება ღამე, თუ რაღაცა, ცოტა ისეთი, სიმშვიდე არ მექნება, ეს, ამისთვის, სიმშვიდე კი არა საერთოდ არ არსებობს ეს გამორიცხულია რო აი რაღაცა.. მე მყავს მაგალითად დისშვილი, რომელიც მსახიობიც იყო, ესეც იყო, ისიც იყო და extraordinary ხო არი, ბევრს გავუკეთეთ ჩვენ ადრე, ყოველგვარი კაპიკის გარეშე, გავუკეთეთ მე და ვიქტორიმ, დავეხმარეთ და არც კი, (იღიმის), უბრალოდ მე არც კი მითქვია და არც კი მითქვამს, რომ აი ამ ჩემს იმას ეს, იმიტომ, რომ ეს აბსოლიტურად მიუღებელია, იმიტო რო ეს ჩემი დისშვილი ნამდვილად არ არის extraordinary, გესმით? ნებისმიერი მსახიობი, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხარ extraordinary, არა არ ნიშნავს ხო, ამიტომ ამას მე, არც კი ყოფილა ეს საკითხი ჩვენთან, ესეთი ადამიანია და მე ძალიან პატივს ვცემ, აი ამ თვისებას.

ინტერვიუერი: - სათვისტომო ახსენეთ, სხვათაშორის, მანამდეც ახსენეთ, რომ ბატონ ვიქტორს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დაარსა ეს ცენტრი, რაღაც მწირი, მაგრამ მაინც, რაღაც რესურსები, წყაროები მიაწოდეს, ისიც თუ გაქვთ ინფორმაცია, თუ მეტყვით ვინ იყო მაშინ....

რესპონდენტი: - იცით მე ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მე შემიძლია გავიდე და ვკითხო ვიქტორს, თუ გინდათ.

ინტერვიუერი: - მერე მომწერეთ მაშინ, ეხლა რომ არ შეწუხდეთ. თუ ურთიერთობთ სათვისტომოსთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან:

რესპონდენტი: -კი, კი როგორ არა, ჩვენ ყველასთან გვაქვს კარგი ურთიერთობები, აქ არის, სათვისტომო, ნიკა ჩხეიძემ ჩამოაყალიბა, ასევე ეხლა ორი ეკლესია გვაქვს აქა, ნიუ-იორკში და იმათთანაც ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, ანუ ჩვენს ორგანიზაციებს ერთმანეთთან გვაქვს ურთიერთბა, მაგალითად, როცა ჩვენ ახალ შენობაში გადავედით და გახსნა გვქონდა, მოვიწვიეთ აბსოლიტურად ყველა ორგანიზაცია და ყველა ხელმძღვანელობა და პედაგოგოები, მხატვრები, მწერლები, პოეტები და ასე შემდეგ, და ეს ვცდილობ, რომ ეს იყოს როგორი ადგილი იცით, მაგალითად ეხლა შაბათს, 25-ში, გვაქვს ქალბატონი ლეილა მჭედლიშვილის ნახატების გამოფენა და მინდა რომ იყოს ასეთი, ადრე გვქონდა ნათია ხადურის პოეზიის საღამო. მე ეხლა ჯერჯერობით არ მინდა, რომ არ მაქვს სურვილი, რომ იყოს, მაგალითად, დაბადების დღეების ცენტრი, გამიგეთ? მინდა რო ესე უფრო სხვა ფორმა შევუნარჩუნო, მაგრამ არც მაგას არ გამოვრიცხავ, იმიტო, რო თუ გაგვიჭირდა ხო, თუ გაგვიჭირდა ეს რაღაცა, მაშინ... უკაცრავად.. თუ გაგვიჭირდა და რაღაცა ხო იცი გადარჩენის გულისთვის რაღაცეებს მერე აკეთებ, რაც არ არის შენს ჩარჩოში მარა, ნუ ჯერჯერობით, მადლობა ღმერთს, გვაქვს უფრო ასეთი სტილის საღამოები, პოეზიის

საღამოები, მხატვრები, ეხლა ფილმების ჩვენება გვექნება კიდევ იქეთა თვეში და ასე. ნუ გვინდა, რომ ასე ვემსახუროთ ქართულ საზოგადოებას, ქართველ ემიგრაციას. პირველი... ის რომ მითხარით, პირველი სათვისტომო, ეს პირველი სათვისტომო ეს იქნება ეს.... (იხსენებს), რა გვარი იყო ეს ქალბატონი, დიდხანს ხელმძღვანელობდა, ეგ იყო ერთ-ერთი პირველი და იყო ვაშინგტონში, ძალიან საინტერესო იყო სხვათაშორის, მათ, ძველი ვიდეო მასალა მაქვს ადრე და ეგ სათვისტომო ატარებდა ხოლმე, რაღაცა შეხვედრებს, ოღონდ არ იყო ასეთი კულტურის ცენტრი და ის კი არ იყო, უბრალოდ იყო, ასეთი ოფიციალური შეხვედრები, რომ იყო, დავუშვათ მიუწვევიათ ესენი და იცეკვეს ორი ცეკვა და იმღერეს ერთი, ასეთი უფრო პოლიტიკური ღონისძიებები იყო ხოლმე რა.

ინტერვიუერი: - თავდაპირველად ახსენეთ კიდეც, კონცერტზეც, თქვენ რაზეც ესწრებოდით, ძირითადად, კი არა და ყველანი იყვნენ ამერიკელები, ერთის გარდა ალბათ, ქორეოგრაფის გარდა, რომელმაც ასწავლა ცეკვა.

რესპონდენტი: - კი და ერთი ჩემი მეგობარი, რომელმაც გამაცნო ვიქტორი.

ინტერვიუერი: - და ამ შემთხვევაში დაინტერესება აი საიდან მოდიოდა ამერიკელებისთვის, მათთვის ეს დამახასიათებელი, მათი კულტურისთვის არ იყო და ქართული კულტურით რატომ დაინტერესდნენ, დაახლოებით რამდენი მოცეკვავე იყო, თუ გახსოვთ?

რესპონდენტი: - მე გეტყვით, ანუ აი, რატომ დაინტერესდნენ, პირველი ის რომ რა თქმა უნდა გაკეთდა ესეთი რეკლამა, გააკეთა ვიქტორიმ, მეორე, რომ ძალიან კარგი ერია, ხალხია, ხალხია ამერიკელები, იმიტომ, რომ ძალიან დიდ პატივს სცემენ ხოლმე, სხვადასხვა ქვეყნის კულტურას, ეს უდაოა, ხომ ასეა არა? იმიტომ, რომ ნახეთ ამდენი... და ასევე ძალიან დიდი ინტერესი აქვთ რაღაცა სიახლის მიმართ და ეს სიახლე იყო მაშინ, სწორედ მათი ინტერესი, ეს იყო ისეთი კულტურა, ისეთი ტრადიციები, ისეთი ქვეყანა, რომელზეც მათ არ სმენიათ არაფერი მაქამდე, ამიტომ ეს ინტერესი თავისთავად ჰქონდათ და ნუ ეხლა იქ დარბაზში ძალიან დიდი ინტერესი იყო, ძალიან დიდი, იცით რამდენი ხალხი იყო, სავსე იყო დარბაზი, ესეიგი ნემსს არ ჩააგდებდი და იყო დაახლოებით ასე 250-მდე, 250ათიანი დარბაზი, ბევრი ხალხი იყო და ისა რა ქვია, მეც იქ ვიჯექი ხო შუაში, იცი რა არი, ხო გითხარით, სულ ვტიროდი და გაკვირვენული მიყურებდნენ რა ატირებს ამას, თვითონ რაღაცა ის მარა, მე რაღაცა სიამაყეც მქონდა, მონატრებაც მქონდა და კიდე ალბათ ბევრი რამე ჩემში მაგრამ, ნუ, ახლა აღარ მახსოვს, დიდი ინტერესით და იმით, ამიტო ძალიან მიყვარს თქვენი.. ძალიან მიყვარს ეს ხალხი, თუნდაც იმიტომ რო ჩემი მეუღლე და მისი მეგობრებისნაირად ვხედავ ამერიკას მე, ანუ ჩემთვის ამერიკელი არის ჩემი მეუღლე და მისი მეგობრები, ანუ მე ვისაც ვიცნობ და ძალიან ინტერესიანი ადამიანები არიან ესენი, წარმოიდგინეთ, რომ მოცეკვავეები იყვნენ დაახლოებით (იხსენებს)... ეხლავე გეტყვით... ალბათ ესე 16..

ინტერვიუერი: - რა ასაკის მოცეკვავეები ყავდათ?

რესპონდენტი: - აი ზუსტად ასე ასაკი არ ვიცი, მაგალითად 3 თუ 4 იყო „city ballet"-ის მოცეკვავეები, სოლისტები, ეგენი უფრო ახალგაზრდა ასაკისები იყვნენ და შემდეგი ვიტყვი, ნუ აი 30 წელი და ნუ ესე 40, ესე ამ შუალედში, ამ ასაკის

ინტერვიუერი: - ამ ეტაპზე ძირითადად მაინც ქართველი მოსწავლეები გყავთ ხომ? თუ გყავთ შერეული ჯგუფებიც?

რესპონდენტი: - no, no.. მარტო ქართველები, ეხლა უკვე სკოლა, ანუ ჩვენ ეხლა გვაქვს პროფესიონალური ჯგუფები და გვაქვს სკოლა, პროფესიონალი ჯგუფებში გვყავს პროფესიონალი მოცეკვავეები, პროფესიონალი მომღერლები, „ზეკარი" ქვია ამ ანსამბლს და პაატა ცეცხლაძეა, ძალიან ცნობილი არისო მითხრეს და ნუ ძალიან კარგი პროფესიონალია და ეგ, ეგ გვყავს და გვაქვს ნიუ-იორკის ქართული თეატრი, ეხლა ბოლოს მე დავდგი, ეხლა იდგმება იადონას თეატრი ერთი სპექტაკლი, კიდე მეორე სპექტაკლი გვინდა გავაკეთოთ და ახლა ვწერ პიესას „ჭუჭრუტანაში", ესე ერქმება, ამმ... და აქ რა მინდა იცით, იდეა მაქვს ესეთი, რომ გინდათ გითხრათ რა იდეა მაქვს?

ინტერვიუერი: - დიახ ...

რესპონდენტი: - რა მაქვს იცი რომ, ორი ხაზი განვითარდება, ერთი არის რომ იტალიური ეზოა ესა, ბევრი ცხოვრობენ, სხვადასხვა ხასიათები, და ამ ეზოს ერთ-ერთ კედელს შენობაში აქვს დიდი ბზარი და ნუ კამათია რო რა ბზარი, რის ბზარი, ნუ ყველამ იცის რო ეს ბზარი არსებობს, ზოგი აქცევს ყურადღებას, ზოგი მარტო ლაპარაკობს და მოგ... მოკლედ... მეორე ხაზი არი რო, ერთი შემოდის, იძახის რო ვაიმე, კარებიდან შეიხედა რა ასე... ჭუჭრუტანიდან და დაინახა, რო ძირს გდია მეზობელი რაღაცა და ატყდება ერთი ამბავი, რო ეს მოკლეს, მოკვდა, რაღაცა და, უკვე დამნაშავესაც იპოვიან იმ ეზოში ვინ არი, შენ იქნებოდიო, იმიტო, რო გავიგე ჩხუბობდიო და რაღაცა უაზრო ხო, და ბოლოში ეს ფინალი რა არი იცი რო, ბოლოს სახლის ბზარი ინგრევა და მერე ყველა გამოდის ესე ჩარჩოებში და იმ აზრებს ამბობენ, მერე რო ამბობენ, იდეა ის მაქვს რო ჭუჭრუტანიდან დანახული, ანუ უცნოდინაროზა ხო, გაუნათლებლობა არ შეიძლება იყოს სიმართლე და ის რაც საერთოა და ყველამ იცის, იმას ჯობია მიაქციო ყურადღება ვიდრე, ესე ჭუჭრუტანაში იყურო, იდეა მაქვს ეს და მესიჯიც არის ეს, რომ არ აქვს მნიშვნელობა იქ წითელი ფერის სკამი გაქვს თუ შავის ხო, ბზარი, ის რომ დაინგრევა ყველას სახლი დაინგრევა და გმირები მყავს, უბრალოდ სხვადასხვა ხასიათები, აი რაც დღეს ხდება აი ეგ ყველა ხასიათი აბსოლიტურად მე არასდროს არ ვარ არანაირი იმის წევრი, არასდროს არ ვყოფილვარ და არც ვიქნები, არც პარტიულობისმ არც იმის, მირჩევნია ვიყო თავისუფალი ქართველი, იმიტო, რო ზოგი რაღაცა შეიძლება მომეწონოს იმათი, ზოგი ამათი, ასე, ნუ მირჩევნია ვიყო თავისუფალი და აი ამაზე ვმუშაობ, ეხლა ცოტა რთულია, მაგრამ ნუ

ამაზე ვწერ ახლა, დღესდღეობით ამაზე ვმუშაობ და კიდევ ვემზადებით გერმანიისთვის და ეს პიესა „შერეკილები“ - მიუზიკლი არაფერზე, ძალიან დიდი წარმატებით დამთავრდა და ხუთჯერ ვითამაშეთ აქ (ნიუ-იორკში) და ბილეთები ყოველთვის ყველგან გაყიდული იყო, და ხალხი დარჩა ისეთი, ვისაც უნდოდა და მაინც ვერ ნახა ეს პიესა.

ინტერვიუერი: - რომელ დარბაზში აკეთებთ ხოლმე, ანუ კერძო სივრცეა თუ როგორ შოულობთ სივცრეს, სადაც ამ სპექტაკლებს დადგამთ, თქვენივე სივრცეა თუ სხვა დარბაზს ქირაობთ?

რესპონდენტი: - ყოველთვის ესეთი ღონისძიებები, აი ეხლაც დიდი 22-ის ღონისძიებაც და თეატრიც და სპექტაკლებიც, განსაკუთრებით სპექტაკლს, აუცილებლად სჭირდება პროფესიონალური დარბაზი, ამმ... ისე ვერ ითამაშებ, იმიტო რო განათებას, ხმოვანოება და ა.შ ამას უნდა პროფესიონალური, ამიტო ვქირაობთ ხოლმე დარბაზებს, ზოგს მანჰეტენზე, ზოგს ბროდვეიზე, ზოგს ბრუკლინში და ა.შ, სხვადასხვა , რავიცი, ძირითადად ადრე სპექტაკლებს ბამში ვთამაშობდით, რომელიც ძალიან ძვირიანი დარბაზებია, ძვირი სიამოვნებაა ეს, დაახლოებით 10 000 -12 000 დოლარი ღირს ერთი სპექტაკლი, აი ეხლა მაგალითად, იქაც ხო, ამას რო ვთამაშობთ, ესეც ესე 12 000-13 000 დოლარამდეა და ნუ ეს არის, ვიხდით ამას, ზოგი ბილეთებიდან, თუ გვაკლდება გვიხდის ბატონი ვიქტორი, ასევე გვაქვს ხოლმე, გვაქვს გრანტები, ვიღებთ გრანტებს და ძალიან გვეხმარება ეს გრანტები რო ეხლა ესეთი დარბაზები ავიღოთ, ეხლა ის იცი რა რთულია, ვერ დაადებ ბილეთს ისეთ ფასს, რომ ეხლა. ბამი მაგალითად 200 კაციანია ხო, როდესაც გაქვს ასეთი, ვერ დაადებ ახლა 60 დოლარს და გამიგეთ ეხლა... ამიტომ...

ინტერვიუერი: - ძალიან დიდი მადლობა, ძალიან საინტერესო ინტერვიუ გამოგვივიდა.